MES 8 22 0001629867

20/12/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 06/12/2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 18:22
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;

7. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
8. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
10. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
11. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
12. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
13. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
14. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
17. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
2	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**გვანცა ძიძიგური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ქეთევან ჯინჭარაძე	პს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	ზაზა რუხაძე		ვიცე-პრეზიდენტი	I
3	შორენა ტუკვაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I

4	გიორგი გაბისონია		პროგრამის კოორდინატორი	**I**
5	ვახტანგ ლეჟავა	**შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი**	რექტორი	**II**
6	ნათია სამუშია		პრორექტორი	**II**
7	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	**II**
8	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	**II**
9	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	**II**
10	შაკო თავაძე		სტუდენტების დეკანი	**II**
11	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	**II**
12	მარიამ ჯაფარიძე		საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	**II**
13	ნიკოლოზ ალექსიძე		მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათ სკოლის დეკანი	**II**
14	ლანა გაბრიაძე		მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათ სკოლის კოორდინატორი	**II**
15	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
16	თამარ ვალიშვილი		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
17	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IV**
18	ელენე ჟურავლოვა		ასოცირებული პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	**IV**
19	გიორგი გოცაძე		ასოცირებული პროფესორი, სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**

20	ნინო მირზიკაშვილი		ასოცირებული პროფესორი, სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
21	თამარ ბარბაქაძე		ასოცირებული პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IV**
22	აკაკი ჭელიძე	შპს სულხან-საბა ორბელიანი სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	**V**
23	დიმიტრი გეგენავა		პრორექტორი	**V**
24	ვაჟა ვარდიძე		თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
25	გოჩა ბარნოვი		თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი	**V**
26	ნინო წიქვაძე		ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	**V**

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, IV
2	ლიანა საგინაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნანა მაჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I I
4	ცოტნე ჩხეიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
5	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. სსიპ -ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის პოლიტიკის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **დიახ**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. სსიპ -ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის პოლიტიკის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1 საკითხი. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 29, 2017 წლის 23 ივნისი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ქალბატონმა გურანდა ჭელიძემ და ეკატერინე ნაცვლიშვილმა .
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქალბატონი ირინე ფხაკაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე . ექსპერტთა ჯგუფი შეიქმნა ირინე ფხაკაძისა და ლიანა საგინაშვილის მონაწილეობით და შეფასება განხორცილდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. შესაბამისად, ინფორმაცია მიღებულ იქნა მხოლოდ და მხოლოდ წარმოდგენილი დანართების მიხედვით, რამაც გამოიწვია დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში რიგი საკითხების დაზუსტება. 2017 წელს პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია და საბჭოს მიერ განისაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია. აღნიშნული რეკომენდაციებიდან უმრავლესობა დაწესებულებამ შეასრულა. კერძოდ, რეკომენდაცია ეხებოდა რიგი სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისობაში მოყვანას კურსის მიზანთან. ასევე, რეკომენდაცია გაიცა კურსის წინაპირობების დაზუსტებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციები შესრულებულია და გაზიარებულია დაწესებულების და პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ. მიმდინარე შეფასების შედეგად კი გაიცა ორი რეკომენდაცია.

დაწესებულების მიერ შესაფასებლად წარმოდგენილ პროგრამაში ჩანაწერი მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირების თვალსაზრისით არის გასასწორებელი, რადგან კვალიფიკაცია განსაზღვრულია, როგორც სერტიფიცირებული ექიმი, ნაცვლად დიპლომირებული მედიკოსისა. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხანგრძლივობას, ანუ 6 წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობას. რეკომენდაცია კი შემდეგია: გასწორდეს პროგრამაში არსებული ჩანაწერი წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის განაწილებასთან დაკავშირებით. ასევე, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთი წლის განმავლობაში 60 კრედიტს ზემოთ დამატებული კრედიტების რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა წერილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომელსაც თან ახლდა დანართები. დანართები კი გულისხმობდა აკადემიური საბჭოს მიერ შეტანილ ცვლილებებს პროგრამაში. რაც ადასტურებდა იმას, რომ დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ორივე რეკომენდაცია და ცვლილებები შეიტანა პროგრამაში. აქვე დაამატა, რომ აღნიშნული ცვლილებების განხორციელების ვადიდან (შეფასების შემდეგ) და ადმინისტრაციული წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე, გაცემული რეკომენდაციები აისახა ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ბატონი ზაზა რუხაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ ორივე შენიშვნა გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ უფრო დეტალურად აღწერდა შეფასების პროცედურას და საკითხთან დაკავშირებულ გარემოებებს. მან დააზუსტა, რომ პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან და კვალიფიკაციასთან შესაბამისობის ანგარიში ცენტრში წარადგინეს 2020 წელს. ანგარიშის შეფასების შედეგად გაიცა რეკომენდაციები, რაც თავისთავად გასწორდა და შეიცვალა ჩანაწერი პროგრამის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. დააზუსტა, რომ პროგრამის ქართულ ვერსიაში სწორი ფორმულირება იყო მოცემული. მიმდინარე შეფასებაში კი მათი მხრიდან მოწოდებული იყო ინგლისურენოვანი ვერსია, სადაც კვალიფიკაციათა ჩარჩოს

მიხედვით არაზუსტი ინფორმაციის მოცემა თარგმანმა გამოიწვია. სწორედ ამიტომ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ მოხდა ორივე ვარიანტის ფორმულირებების დადარება და შესაბამისობაში მოყვანა.
ქალბატონმა ირინე ფხაკაძემ დააზუსტა იმავე პროგრამის წინა შეფასებასთან დაკავშირებით არსებულ გარემოებებს. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შეფასებისას დაეყრდნო აკრედიტაციის სტანდარტებსა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებლების მხრიდან უკვე გადადგმულია რეკომენდაციების შესრულებისთვის საჭირო ნაბიჯები. თუმცა, როგორც უკვე აღნიშნა, ადმინისტრაციული წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯგუფი ვალდებული იყო კვლავ დაეტოვებინა რეკომენდაციები დასკვნაში მიუხედავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული და მისაღები პასუხისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
ქალბატონი ხათუნა თოდაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ წარმოდგენილი პროგრამის სწავლების ენა, ის თუ რომელ პროგრამას ეხებოდა შეფასება - ინგლისურენოვანს თუ ქართულს.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ქეთევან ჯინჭარაძემ უპასუხა შეკითხვას და აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებს ინგლისურენოვან პროგრამას და საუბარი იყო მხოლოდ ერთ პროგრამაზე. პროგრამის ქართულენოვანი ვერსიის წარმოდგენა მოხდა სამართალწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე - მათ უნდა წარედგინათ როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი ვერსია.
ქალბატონი ირინა ლობჟანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ დარგის სპეციალისტი არ არის და დაინტერესდა პროგრამაში კრედიტების გადანაწილებით და მოცულობით, კერძოდ, თუ რამდენი კრედიტის აღება სტუდენტს ევალება ერთი წლის განმავლობაში.
ქეთევან ჯინჭარაძემ განმარტა, რომ საუბარი ეხებოდა არა პროგრამაში კრედიტების განაწილების საკითხს, არამედ მედიცინის დარგთან მიმართებით N3 ბრძანებაში არსებულ ჩანაწერს 60 კრედიტს ზემოთ არაუმეტეს 15 კრედიტის (მაქსიმუმ 75 კრედიტი) განსაზღვრასთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:36 სთ
დასრულების დრო: 15:30 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით 2 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის,

24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 24 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვრა რეკომენდაციების შესრულების მიზნით 2 თვის ვადაში ანგარიშის წარმოსადგენა.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრებები და დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- დაწესებულების მიერ შესაფასებლად წარმოდგენილ პროგრამის ვერსიაში დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება Certified Physician (Medical Doctor (MD) - სერტიფიცირებული ექიმი (დიპლომირებული მედიკოსი) უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის მიზნით;
- დაკორექტირდეს პროგრამაში შემდეგი ჩანაწერი: „წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა", რათა მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესში" არსებულ ჩანაწერთან: „დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს."

2 საკითხი. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N874399, 2021 წლის 7 სექტემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0388 ინტერდისციპლინური– მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240, თბილისი 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
საბჭოს წერმა ერეკლე ასტახიშვილმა განაცხადა თვითაცილება სგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობის საფუძვეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ქალბატონი ნანი მაჭარაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ პროგრამასთან მიმართებით გაიცა 8 რეკომენდაცია და მათი შესრულების ხარისხი ამ შემთხვევაში ექსპერტების შეფასების მთავარი სამიზნე იყო. რვა რეკომენდაციიდან უმეტესობა მეტწილად შესრულებულია, განაცხადა ქალბატონმა ნანიმ. ერთ-ერთი რეკომენდაციის არსი მდგომარეობდა შეფასების სისტემის შემოტანაში პრაქტიკებთან მიმართებით. ვინაიდან არსებული წესი არ იძლეოდა 0 დან 20 ქულამდე შეფასების გრადაციის შესაძლებლობას. ამჯერად კი დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია შეასრულა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ასევე, დაამატა, რომ უნივერსიტეტმა დახვეწა და საბაკალავრო დებულებაში აღწერა ის რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა აპელაციის წესს. ექსპერტებს სურდათ მეტად ფორმალური სახით ენახათ ეს ყველაფერი. ამასაც ფორმალური სახე მიეცა და შესაბამისი მუხლები დაემატა საბაკალავრო დებულებას. ყველა ის კონკრეტული საგანი, რომელთა მიმართებითაც მათ ჰქონდათ რეკომენდაცია მომხდარიყო შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება და შესაბამისი

მითითება კონკრეტული ინდიკატორების დონეზე გაზომვის მეშვეობით დაზუსტდა და რვა კურსი, რომლებზეც ექსპერტებს გადატანილი ჰქონდათ აქცენტი, წარმოდგენილია დაკონკრეტებული სპეციფიური სახით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ბოლოს დააზუსტა, რომ რვიდან ყველა რეკომენდაცია შესრულებულია. თუმცა პირველთან მიმართებით კვლავ რჩება კითხვები. რეკომენდაციის არსი მდგომარეობდა შემდეგში. მათ სურდათ, რომ სწავლის შედეგები დაკონკრეტებულიყო და სპეციფიურად განსაზღვრულიყო მათი გაზომვის მეთოდები. ამ მიზნით უნივერსიტეტმა შექმნა ახალი დოკუმენტი და წარუდგინა ექსპერტებს, რომელშიც დაკონკრეტებულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, მაგრამ კონკრეტული შედარებით მწირედ გამოიყურება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციასაც ნაწილობრივ შესრულებულად მიიჩნევს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ქალბატონი თამარ გეგეშიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაცია გათვალისწინებულია, მას შემდეგ რაც ეს დოკუმენტი შეიმუშავეს, მოხდა სწავლის შედეგების გეგმის დახვეწა, რაშიც იგულისხმება შესრულების ინდიკატორების გაწერა და 9 ინდიკატორის ნაცვლად 17 ინდიკატორის გაწერა. აქვე დაამატა, რომ უნივერსიტეტი აგრძელებს ყველა იმ მითითების შესრულებას, რაც გაიცა დაწესებულების მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:55 სთ
დასრულების დრო: 16:15 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11]პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

3 საკითხი. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება: N30; 28.06.2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 -თერაპია და რეაბილიტაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქ., №59; ქალაქი ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №11, ახალგაზრდობის გამზირი N 98, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილბამ დააყენა საკითხი, რომ ექსპერტის გარეშე განეხილათ ეს კონკრეტული საკითხი, ვინაიდან შეფასება იყო დადებითი და რეკომენდაციებიც არ გაცემულა.
ექსპერტთა მიერ გაიცა მხოლოდ **რჩევები:**

- სასურველია, დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებების შესახებ არსებულ ინფორმაციაში კონკრეტული ფორმით იყოს აღწერილი თითოეულ შედეგზე გასვლის კრიტერიუმები;
- სასურველია, დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყოს შედეგების რუკა, სადაც მონიშნულია ცალკეულ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსები;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ქალბატონი თამარ ვალიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. თქვა, რომ ისინი გაეცნენ ექსპერტთა დასკვნას, რომელიც ცენტრმა გამოაგზავნა. აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული ორი რჩევაა აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. და მადლობა მოახსენა ექსპერტებს დეტალური ანალიზისთვის და მნიშვნელოვანი რჩევებისთვის, რომლებიც გაიცა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
ქალბატონი ირინა ლობჟანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა რჩევებთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, ორმ დასკვნაში ამოკითხული ინფორმაციის თანახმად მკაფიოდ არ ვლინდება მიღწევადია თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები და რაც შეფასების რუქა არსებობს, ამიტომაც ექსპერტთა მიგნება რჩევას წარმოადგენს თუ რეკომენდაციას.
ქალბატონმა თამარ ვალიშვილმა განმარტა, რომ იმ მომენტისათვის, როდესაც იყო მოთხოვნა და მათ გადააგზავნეს პროგრამის შესაბამისი დოკუმენტაცია, რუქის მოთხოვნა არ ყოფილა. მათ გადააგზავნეს ის დოკუმენტები, რომლის გადაგზავნას ითვალისწინებდა მონიტორინგი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:35 სთ
დასრულების დრო: 16:45 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საფუძველზე ჩატარებული არაგეგმიური მონიტორინგის ატმინისტრაციული წარმოე4ბის შეწყვეტის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეას სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება .

4 საკითხი. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის პოლიტიკის” ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 29 ოქტომბერი N1158334 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0919 ჯანდაცვა–არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი
თვითაცილება განაცხადა ქალბატონმა ირინა ლობჟანიძემ .
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ქალბატონი ირინე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე გაიცა სამი რეკომენდაცია:
1. რეკომენდებულია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად;
2. რეკომენდებულია, სასწავლო/კვლევით ბაზებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სათანადო ფორმით იყოს წარმოდგენილი სავარაუდო ინფორმაცია კონკრეტულ პერიოდზე კვლევითი თუ პრაქტიკული კურსების/მიზნების და სტუდენტების/მკვლევარების რაოდენობის შესახებ;
3. რეკომენდებულია, სილაბუსებში გამოყენებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის PBL დაზუსტება და გამიჯვნა ქეისებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდისგან. ამასთანავე, სილაბუსებში გამოყენებული სწავლის მეთოდები, სრულად აისახოს პროგრამის აღწერილობით ნაწილში.
სამივე რეკომენდაცია დაწესებულებას გაიზიარა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს, სწავლის შედეგებს და მათთან პროგრამის შესაბამისობას. რეკომენდაცია იყო შემდეგი: რეკომენდირებულია პროგრამის და სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის დოკუმენტი, პროგრამის აღწერილობა. თანდართული სილაბუსების და დოკუმენტაციის გაცნობამ აჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდში სწავლის შედეგები გასწორდა და განახლდა. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოხდა სწავლის შედეგების გასწორება და დაზუსტება გაზომვადობის შესაძლებლობის მიზნით. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა ცოდნის კომპეტენციაზე. სწავლის შედეგები ნამდვილად ფარავს სწავლების შესაბამისი საფეხურის კომპეტენციებს.
თუმცა შეფასების შედეგად შემუშავდა რჩევა, რომ ცოდნა , უნარები და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა გაიწეროს სამი კომპეტენციის სახით. თუმცა ექსპერტები ადასტურებენ, რომ ყველა კომპეტენცია ამჟამად გაწერილი სწავლის შედეგების მიხედვით არის დაფარული.
მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სწავლების მეთოდოლოგიისა და ორგანიზების შესახებ სტანდარტს. რეკომენდაცია იყო შემდეგი სახით: რეკომენდებულია სასწავლო კვლევით ბაზებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სათანადო ფორმით იყოს წარმოდგენილი სავარუდო ინფორმაცია, კონკრეტულ პერიოდზე, კვლევითი თუ პრაქტიკული კურსების მიზნების და სტუდენტების რაოდენობის შესახებ. ეს რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გაზიარებულია, შესაბამისად წარმოდგენილია ურთიერთანამშრომლობის ახალი

დოკუმენტები, მემორანდუმები, რომელთა შესწავლამ დაადასტურა, რომ დაზუსტებულია პარტნიორ ორგანიზაციებთან დაგეგმილი პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლა-სწავლების მეთოდებს. კერძოდ, რეკომენდებულია სილაბუსებში გამოყენებულ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების გამიჯვნა ქეისებზე დაფუძნებული სწავლებისაგან. შესწავლილ იქნა შესაფასებლად წარმოდგენილი, როგორც პროგრამის აღწერილობის დოკუმენტი, ასევე სასწავლო სილაბუსები და მათმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდში სრულად მოხდა რეკომენდაციის გაზიარება. კერძოდ, სასწავლო კურსებში სწავლის მეთოდები სპეციფიკის მიხედვით ჩასწორდა და დაზუსტდა. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე ჩანაცვლდა პრობლემის ანალიზით და რიგ შემთხვევაში შემთხვევის ანალიზით. შესაბამისად, საბოლო შეფასება შემდეგია: დაწესებულებამ რეკომენდაციები გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ქალბატონი ნინო ჟვანია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ისინი დაელოდებიან საბჭოს წევრების კითხვებს არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან არ ყოფილა შეკითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:20 სთ
დასრულების დრო: 17:40 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის პოლიტიკის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება :
აკრედიტაციის დებულების 27[6]მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11]პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის პოლიტიკის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში.

5 საკითხი. შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	08.02.2022, N124355
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	თეოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	რელიგია და თეოლოგია, 0221
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	58
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა 3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ქალბატონმა ეკტერინე ნაცვლიშვილმა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ბატონი ცოტნე ჩხეიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ 2022 წლის 8 თებერვალს აკრედიტაციის ოქმის საფუძველზე პროგრამისთვის, რომლის საკითხსაც განიხილავენ, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლის შესრულების ფარგლებშიც განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი. სწორედ ამ რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში, შეისწავლეს ექსპერტებმა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ამასთანავე, გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტები. შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელს, დაწესებულების წარომადგენელებს და გულდასმით შეისწავლეს ეს დოკუმენტაციაც. აქვე დაამატა, რომ

დაწესებულებამ არსებითად შეასრულა რეკომენდაციები. თუმცა აქვთ გარკვეული შენიშნები, კერძოდ, რუკებთან დაკავშირებით. ასევე დამატებითი რეკომენდაციები გასცეს, რომელთა ნაწილის შესრულებასაც დაწესებულება დაეთანხმა. ხოლო გარკვეულ ნაწილთან დაკავშირებით წარმოადგინა საკუთარი პოზიცია. თუმცა ექსპერტებმა არ მიიჩნიეს ეს არგუმენტები დამაჯერებლად და დატოვეს რეკომენდაციები. დაწესებულებას არ აქვს შემდეგი რეკომენდაციები შესრულებული: მაგალითად რუკებთან დაკავშირებით, ეს არის პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა, რაც არის სტანდარტის მოთხოვნა, რასთან დაკავშირებითაც ვერ ნახეს რაიმე ინფორმაცია თვითშეფასების ანგარიშში. ასევე ნახეს, რომ რუკები არ იყო შესწორებული. რაც მოცემული იყო საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციაში. არგუმენტირებულ პოზიციაში კი აქვთ შემდეგი პოზიცია, რომ რჩევაში გადაეტანათ ის ყველაფერი, რასაც არ ეთანხმებოდნენ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ, ასევე, არ გაითვალისწინა რეკომენდაცია სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების საკითხების ვებგვერდზე ატვირთვის შესახებ. თუმცა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები მნიშვნელოვანია, რომ იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი იმისათვის, რომ ყველა აპლიკანტს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა მოეთხოვება მას სადოქტორო პროგრამაზე ჩასაბარებლად ამ პროგრამაზე რეგისტრაციამდე.

ასევე 2.1 სტანდარტის კომპონენტის შესაბამისობასთან მიმართებით გასცეს რეკომენდაცია, რაც, თავის მხრივ, ეფუძნებოდა თებერვლის საბჭოს რეკომენდაციას იმასთან დაკავშირებით, რომ აპლიკანტებისგან ყოფილიყო მოთხოვნილი დარგობრივი ცოდნისა და კვლევის თემატიკის შესაბამისი უცხო ენის ცოდნის დადასტურება. თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულება წერს, რომ ეს რეკომენდაცია გაითვალისწინა. ექსპერტმა წაიკითხა დოქტორანტურის დებულების ეს მუხლი ‘’საკვლევი თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით სადოქტორო მიმღები კომისია უფლებამოსილია კანდიტატს მოსთხოვოს კვლევისთვის აუცილებელი დამატებითი უცხო ენის დადასტურება.‘’

ექსპერტები ფიქრობენ, რომ აქ ფორმულირებაა შესაცვლელი, რადგან წერია ,,უფლებამოსილია,“ ხოლო დაწესებულებას აქვს ვალდებულება, რომ მოსთხოვოს აღნიშნული ცოდნის დადასტურება. დაწესებულებამ კი ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა შემდეგი არგუმენტის საფუძველზე, რომ დოქტორანტურის დებულება არის ზოგადი და აღნიშნული საკითხები განიმარტება საგანმანათლებლო პროგრამის კონტექსტში. თუმცა ექსპერტთა ჯგუფის თვალსაზრისით შეიძლება დებულების მუხლებში გაჩნდეს პრიმა მუხლი და განიმარტოს დამატებითი პირობები კონკრეტული სპეციფიკისთვის მითუმეტეს, რომ თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობებში კვლევის თემატიკის გათვალისწინებით დამატებითი უცხო ენის მოთხოვნის ვალდებულების შესახებ არაფერი წერია - განაცხადა ექსპერტმა. გარდა ამისა, დამატებით კითხვებს ის ფაქტი ბადებს, რომ დებულებაში სამართლის სადოქტორო სპეციფიკის ჩანაწერია. კერძოდ, საკვლევი თემის წყაროების მრავალფეროვნების შემოწმების კრიტერიუმებია, რის განზოგადებაზეც დაწესებულებამ უარი განაცხადა, არ გაიზიარა ექსპერტების მესამე რეკომენდაცია კომპონენტში 2.1. ხოლო დამატებითი უცხო ენის ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, რაც დებულების 5.3 მუხლის დაკონკრეტებას მოითხოვს, სპეციფიკის დაკონკრეტება არ მიიჩნია მიზანშეწონილად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ბატონი დიმიტრი გეგენავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილს იზიარებენ. თქვა, რომ რა თქმა უნდა შეიძლება მუშაობა და პრინციპულად არცერთი არ არის ისეთი რეკომენდაცია, რომელიც დააზიანებს პროგრამას, პირიქით შეიძლება ამის გათვალისწინებაც. დააზუსტა, რომ ექსპერტის მიერ ნათქვამი ორი საკითხი არის წმინდა იურიდიული ხასიათისაა. რომ თუ კი აკრედიტაციის საბჭო დათანხმდება ამ რეკომენდაციებს,

რა თქმა უნდა, მოძებნიან საშუალებას იურიდიული ტექნიკის კუთხითაც ჩამოყალიბდნენ. აქვე დაამატა, რომ არსობრივად არცერთი რეკომენდაციის წინააღმდეგი არ არიან და წმინდა იურიდიული კუთხით ის მიგნება რეკომენდაციად შეიძლება არც ჩაითვალოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
ბატონმა გოდერძი ბუჩაშვილმა დაუსვა შეკითხვა ექსპერტებს, იმის შესახებ, თუ რამდენად შესრულდა დაწესებულების მიერ ის რეკომენდაციები, რომლებიც აკრედიტაციის საბჭომ გასცა. აღნიშნულზე ექსპერტმა უპასუხა, რომ მათი უმრავლესობა შესრულებულია, თუმცა რუკებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია არ შესრულებულა და დამატებით უცხო ენასთან დაკავშირებით რეკომენდაციაც ნაწილობრივ არის შესრულებული.
ბატონმა გოდერძიმ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა ესაუბრა საბჭოს მიერ გაცემულ იმ რეკომენდაციებზე, რომლებსაც ექსპერტი თვლის, რომ დაწესებულებას არ აქვს შესრულებული .
ბატონმა დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ რეკომენდაციების აბსოლუტური უმრავლესობა შესრულებულია. განსხვავება იკვეთება ორ საკითხში, ერთია შედეგების რუკებთან დაკავშირებით იმიტომ, რომ დაწესებულების პოზიციით სადოქტორო ეტაპზე ძირითად მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მიზნებთან და შედეგებთან ავლენს დისერტაცია და დისერტაციის დაცვით ფასდება შედეგების მიღწევა. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ სავალდებულო საგნების გათვალისწინებაც მომხდარიყო. თუმცა, რეალურად სადოქტორო სწავლების სპეციფიკიდან და საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, სასწავლო კომპონენტების მსგავს კონტექსტში გათვალისწინება არის ფაკულტატური და დამოკიდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებაზე. ისინი მიიჩნევდნენ, რომ დისერტაციის შესრულებით მიიღწევა შედეგები და, შესაბამისად, , რუკაში იყო წარმოდგენილი მარტო დისერტაცია და სთხოვეს, რომ სასწავლო კომპონენტებიც ყოფილიყო წარმოდგენილი. ამაში კი იგი შეუსაბამოს და მიუღებელს ვერაფერს ხედავს. თუმცა, აქვე დაამატა რომ წინა საბჭოს ასეთი კონკრეტული რეკომენდაცია არ ჰქონდა.
რაც შეეხება მეორე საკითხს, როგორც იურისტი და სამართლის დოქტორი პრინციპულად მისი პირადი პოზიციაა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია ვინაიდან იურიდიული ფორმულირება მიემართება არა დოქტორანტს, არამედ საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია მოსთხოვოს აპლიკანტს დამატებითი უცხო ენის ცოდნა. აქვე დაამატა, რომ თუკი მეტი სიცხადისთვის ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი კონკრეტიკა იქნება საჭირო, დაწესებულების მხრიდან არ შეიქმნება პრობლემა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:00 სთ
დასრულების დრო: 18:22 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ''თეოლოგიის '' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი .
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის,

24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ''თეოლოგიის '' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეწყდეს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება წარმოება .

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 6 დეკემბრის 18:22 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით